MFA of Georgia
Digitally signed by MFA of Georgia
Date: 2024.01.09 16:39:53 +04'00'

ხელშეკრულება № 43

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 2024 წ.

ერთის მხრივ, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის ვლადიმერ კონსტანტინიდის სახით (შემდგომში - „შემსყიდველი ორგანიზაცია“) და მეორეს მხრივ, შპს „კაპექს“-ი წარმოდგენილი მისი დირექტორის ირაკლი ზარიძის სახით (შემდგომში - „მიმწოდებელი“),„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის, „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული წესის 33-ე მუხლის და ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე საშუალებით (NAT230025974) საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საჭიროებისათვის „Haier" MRV IV-c გათბობა-გაგრილების სისტემის შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების შესყიდვა (CPV50700000 - შენობის მოწყობილობების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება).

1.3. შენობის მოწყობილობების (Haier MRV IV-c) ჩამონათვალი, რომელთა მიმართაც უნდა განხორციელდეს შეკეთება და ტექნიკური მომსახურება ამ მომსახურების ტექნიკური პირობები და ფასები მოცემულია დანართ №2-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. შესყიდვის ობიექტის ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ღირებულება შეადგენს 70 000.00 (სამოცდაათი ათასი ლარი და 00 თეთრი) ლარს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით, დღგ-ს ჩათვლით.

2.2. ერთეული მომსახურების/სათადარიგო ნაწილის ღირებულება მოცემულია თანდართულ ფასების ცხრილი-პრეისკურანტში (დანართი №2) ჯამური ღირებულებით 185 741.27 (ას ოთხმოცდახუთი ათას შვიდას ორმოცდაერთი ლარი და ოცდაშვიდი თეთრი) ლარი, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1. მომსახურების გაწევა განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ეტაპობრივად, ხელშეკრულების 6.4.1, 6.4.2 და 6.4.3. პუნქტების მიხედვით 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3.2. მომსახურების გაწევის ადგილია: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, ქ. თბილისი, გ. ლეონიძის ქ. №3.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად შესყიდვის ობიექტის ფაქტობრივი მიწოდების, შემსყიდველის მხრიდან ინსპექტირების განმახორციელებელი პირ(ებ)ის და მიმწოდებლის მხრიდან უფლებამოსილი პირის მიერ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

5. ანგარიშსწორების ფორმა, ვადა და ადგილი

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში, „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში. მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება აუნაზღაურდება უნაღდო

ანგარიშსწორებით, მომსახურების მიწოდების შემდეგ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღეში.
5.2. მიმწოდებლისთვის შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების გამო პირგასამტეხლოს დაკისრების შემთხვევაში 5.1 პუნქტით ანგარიშსწორებისთვის გათვალისწინებული ვადის ათვლა დაიწყება დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის და აღნიშნულის დამადასტურებელი ქვითრის შემსყიდველ ორგანიზაციაში წარმოდგენის შემდეგ.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი ორგანიზაცია და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.
6.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია:
6.2.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება.
6.3. შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს:
6.3.1. განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე;
6.3.2. მოსთხოვოს მიმწოდებელს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის კონტროლის შედეგად გამოვლენილი დეფექტების აღმოფხვრა შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.
6.3.3. იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება, რომ მე-2 მუხლის 2.2 პუნქტით განსაზღვრულ ფასების ცხრილი-პრეისკურანტში (დანართი №2) არ არის გათვალისწინებული საჭირო საქონელი ან/და მომსახურება, მისი შესყიდვის აუცილებლობისას, მხარეები უფლებამოსილნი არიან აღნიშნულის შესახებ, საბაზრო ფასის გათვალისწინებით, გააფორმონ წერილობითი შეთანხმება, რომელშიც მიეთითება გასაწევი მომსახურების (მომსახურების გაწევისათვის საჭირო საქონლის (ახალი სათადარიგო ნაწილის) გათვალისწინებით) ღირებულება. ასეთ შემთხვევაში, პრეისკურანტში შესაბამისი მომსახურების ერთეულის არარსებობით გამოწვეული შესყიდვის ხვედრითი წილი არ შეიძლება აღემატებოდეს მიმწოდებლის მიერ ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული პრეისკურანტის საბოლოო ჯამური ღირებულების 185`741.27 (ას ოთხმოცდახუთი ათას შვიდას ორმოცდაერთი ლარი და ოცდაშვიდი თეთრი) ლარის 10%-ს.
6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
6.4.1. შემსყიდველის მოთხოვნიდან (წერილი, ელ.ფოსტა ან/და სხვა ელექტრონული საშუალებები) 2 (ორი სამუშაო დღის განმავლობაში განახორციელოს საავარიო სიტუაციის მიზეზის დადგენა, ტექნიკური დათვალიერება და დიაგნოზის დასმა დაზიანების ტიპზე, რის შემდგომაც მხარეები ადგენენ დეფექტურ აქტს, რომელშიც მითითებული იქნება გასაწევი მომსახურების სათადარიგო ნაწილების დეტალური აღწერა და განახორციელოს მომსახურების გაწევა (საჭიროების შემთხვევაში, სათადარიგო ნაწილ(ებ)ის შეცვლით).
6.4.2. იმ შემთხვევაში თუ შეკეთება არ მოითხოვს სათადარიგო ნაწილის საზღვარგარეთ შეკვეთას/შეძენას, მიმწოდებელი ვალდებულია შეკეთება (მათ შორის სათადარიგო ნაწილის შეცვლა და ექსპლუატაციაში გაშვება) უზრუნველყოს დეფექტური აქტის ხელმოწერიდან 48 (ორმოცდარვა) საათის განმავლობაში.
6.4.3. იმ შემთხვევაში თუ შეკეთება მოითხოვს სათადარიგო ნაწილის საზღვარგარეთ შეკვეთას/შეძენას, მიმწოდებელი ვალდებულია შეკეთება (მათ შორის სათადარიგო ნაწილის შეცვლა და ექსპლუატაციაში გაშვება) უზრუნველყოს დეფექტური აქტის ხელმოწერიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში. (მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუმეტეს 2 სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს სათადარიგო ნაწილის საზღვარგარეთ შეკვეთის დამადასტურებელი დოკუმენტაცია).
6.4.4. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს მიმდინარე ხელშეკრულება, თუ მიმწოდებელზე გაგზავნილ იქნა ორი ან მეტი გამაფრთხილებელი წერილი, სადაც დაფიქსირებული იქნება მათ მიერ სამუშაოს არაჯეროვნად ან ვადაგადაცილებით შესრულების შემთხვევები.
6.4.5. მომსახურებისათვის საჭირო ახალ სათადარიგო ნაწილებზე მიმწოდებელი უზრუნველყოფს მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმებიდან პრეისკურანტით (დანართი №2) განსაზღვრულ პერიოდში საგარანტიო მომსახურებას.

6.4.6. საგარანტიო პერიოდში (მიუხედავად ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვისა) დეფექტის/წუნის გამოვლენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველთან შეთანხმებულ გონივრულ ვადაში განახორციელოს დეფექტის/წუნის აღმოფხვრა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.
6.4.7. მომსახურების გაწევისას გამოიყენოს ახალი ქარხნული სათადარიგო ნაწილები, მომსახურებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილებზე/მომსახურებაზე მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საგარანტიო ვადის გავრცელება ფასების ცხრილის (პრეისკურანტის) შესაბამის გრაფაში მითითებული ვადების შესაბამისად.

7. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი

7.1. ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებენ შემსყიდველი ორგანიზაციის ინსპექტირების ჯგუფის წევრები: მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი (მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი) ედუარდ ალიკიანი ან/და ამავე სამსახურის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი შოთა ვარსიმაშვილი.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

8.1. წინამდებარე ხელშეკრულების 6.4. პუნქტის 6.4.1 6.4.2. 6.4.3. და 6.4.6. ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადების გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.
8.2. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე ამ მუხლის 8.1 პუნქტით გათვალისწინებული დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
8.3. ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 5 %-ის ოდენობით.
8.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ფორს-მაჟორული სიტუაციები

9.1. მხარეები პასუხისმგებელნი არ არიან თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ის გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა: წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე საომარი მოქმედებები, რომლებიც უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ხელისშემშლელ გარემოებათა აღმოფხვრის შემდეგ.
9.2. თუ ფორს-მაჟორული გარემოებების გამო სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობა გრძელდება ორ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორსმაჟორის გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1. ხელშეკრულებების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამ შემთხვევაშიც ფასის ცვლილება დასაშვებია არაუმეტეს შესყიდვის ობიექტის ღირებულების 10%-ისა.
10.2. ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა თანხმობის შემთხვევაში. ნებისმიერი ცვლილება და დამატება ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ წერილობითი ფორმით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერ ცვლილებაზე უნდა გაფორმდეს შეთანხმება, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მასზე ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2026 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

12. დავა და მისი გადაწყვეტის წესი

12.1. წამოჭრილი დავა ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყდეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
12.2. თუ შემსყიდველი ორგანიზაცია და მიმწოდებელი მოლაპარაკებების დაწყებიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ შეთანხმების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. სხვა პირობები

13.1. საკითხები, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
13.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
13.3. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14. მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
საქართველოს საგარეო საქმეთა	შპს „კაპექს“
სამინისტრო	მის: ქ. თბილისი, კოკინაკის ქ. N 22
მის: ქ. თბილისი, ჩიტაძის ქ. 4	ს/კ: 400161141
საიდენტიფიკაციო კოდი: 203 83 63 22	ტელ: 593006080
ტელ: 2945000	ელ-ფოსტა: info@kapex.ge
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო	ს/ს „თიბისი ბანკი”
ხაზინა	ბანკის კოდი: TBCBGE22
ბანკის კოდი: TRESGE 22	ა/ა: № GE69TB7125136050100003

მინისტრის მოადგილე	დირექტორი
ვლადიმერ კონსტანტინიდი	ირაკლი ზარიძე

Irakli Zaridze 01019019910

Digitally signed by Irakli Zaridze
Date: 2024.01.09 17:42:18

დანართი N2-პრეისკურანტი

№	საქონლის დასახელება	რაოდენობა	განზომილების ერთეული	შემოთავაზებული საქონლის ზღვრული ერთეულის ფასი (ლარი)	პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული საქონლის ღირებულება (ლარი)	მომსახურების ზღვრული ერთეულის ფასი (ლარი)	პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული მომსახურების ღირებულება (ლარი)	საგარანტიო პირობები
"Haier" MRV IV-c **გათბობა-გაგრილების სისტემა**								
1	სისტემის დიაგნოსტიკა (ერთი დანადგარი)	1	ც	0.00	0.00	860.00	799.80	3 თვე
2	მიდა ბლოკის შემოწმება	1	ც	0.00	0.00	250.00	232.50	
3	პლატა (გარე ბლოკი)	1	ც	1,127.00	1,048.11	518.00	481.74	
4	გამშვები (გარე ბლოკი)	1	ც	287.50	267.38	287.00	266.91	
5	სამსვლიანი სარქველი	1	ც	770.00	716.10	518.00	481.74	
6	ინფორმაციის სისტემა	1	ც	863.00	802.59	299.00	278.07	
7	ვენტილატორი (გარე ბლოკი)	1	ც	1,980.00	1,841.40	633.00	588.69	
8	რადიატორის გარეცხვა (გარე ბლოკი)	1	ც	0.00	0.00	750.00	697.50	
9	მილების აღდგენა	1	მ	40.00	37.20	172.00	159.96	
10	თბოიზოლაციით შეფუთვა	1	მ	6.00	5.58	92.00	85.56	
11	ვენტილატორი (მიდა ბლოკი)	1	ც	990.00	920.70	402.00	373.86	
12	პლატა (მიდა ბლოკი)	1	ც	890.00	827.70	172.00	159.96	
13	კონდენსატორი მიდა ბლოკის 160-230Vp	1	ც	172.00	159.96	150.00	139.50	
14	თერმოსტატი მაღალი წნევის (მ/ბლ)	1	ც	253.00	235.29	327.00	304.11	
15	პულტი	1	ც	165.00	153.45	167.00	155.31	
16	სლივის პომპა	1	კომპლ	550.00	511.50	265.00	246.45	
17	რადიატორიოს გარეცხვა (მიდა ბლოკი)	1	ც	0.00	0.00	414.00	385.02	
18	არხული კონდ. გაწმენდა (მ/ბლ)	1	ც	0.00	0.00	414.00	385.02	
19	ერთკონტურიანი ელექტრო ჩამრთველი	1	ც	69.00	64.17	92.00	85.56	
20	ორკონტურიანი ელექტრო ჩამრთველი	1	ც	69.00	64.17	92.00	85.56	
21	სამკონტურიანი ელექტრო ჩამრთველი	1	ც	173.00	160.89	92.00	85.56	
22	სადრენაჟ სისტემა მიდა ბლოკის	1	ც	247.00	229.71	403.00	374.79	
23	ფრეონი რ 410	1	კგ	58.00	53.94	80.00	74.40	
24	ფრეონის ზეთი რ 409	1	ლ	170.00	158.10	172.00	159.96	
25	დაზიანებული სადრენაჟ სისტემის გამართვა	1	მ	7.00	6.51	92.00	85.56	
26	ელექტრო სადენი 3x2.5	1	მ	6.00	5.58	6.00	5.58	
27	მიდა ფანკოილების ფილტრების გაწმენდა	1	ც	0.00	0.00	80.00	74.40	
28	სპილენძის მილი 16 მმ-იანი	1	მეტრი	39.00	36.27	80.00	74.40	
29	სპილენძის მილი 10 მმ-იანი	1	მეტრი	33.00	30.69	80.00	74.40	
30	სპილენძის მილი 6 მმ-იანი	1	მეტრი	25.30	23.53	80.00	74.40	
31	მიდა ბლოკის კლაპანი	1	კომპლ	405.00	376.65	180.00	167.40	
32	გარე ბლოკის კლაპანი 130-170	1	კომპლ	520.00	483.60	180.00	167.40	
33	გარე ბლოკის კლაპანი 180-230	1	კომპლ	520.00	483.60	180.00	167.40	
34	კომპრესორი 14 კვტ-დან 28კ ვტ-მდე პირველი	1	ც	7,700.00	7,161.00	1,725.00	1,604.25	1 წელი
35	კომპრესორი 28 კვტ-დან 45კვტ-მდე პირველი	1	ც	10,050.00	9,346.50	1,725.00	1,604.25	
36	გარე აგრეგატის ავზის მოწყობა	1	ც	850.00	790.50	1,725.00	1,604.25	
37	მაგნიტური კლაპანი სარქველი	1	ც	410.00	381.30	172.00	159.96	
38	მილგაყვანილობის შეფუთვა	1	მეტრი	18.00	16.74	92.00	85.56	3 თვე
39	ინვენტორი HITACHI 6MBP50RA120-55	1	ც	10,925.00	10,160.25	2,243.00	2,085.99	1 წელი
40	პლატის შეკეთება	1	ც	0.00	0.00	977.00	908.61	3 თვე
41	გარე ბლოკის მაგნიტური ,კლაპანი TRV 86U6SR-ის თავსებადი	1	ც	495.00	460.35	180.00	167.40	6 თვე
42	გარე ბლოკის მაგნიტური ,კლაპანი TRV 136U6SS-ის თავსებადი	1	ც	495.00	460.35	180.00	167.40	
43	გარე ბლოკის მაგნიტური ,კლაპანი TRV 154U6SS-ის თავსებადი	1	ც	500.00	465.00	220.00	204.60	
44	მაღალი წნევის ელექტრო კლაპანი	1	ც	264.00	245.52	170.00	158.10	
45	დაბალი წნევის ელექტრო კლაპანი	1	ც	264.00	245.52	170.00	158.10	
46	მაცივარაგენტის დიაგნოსტირება	1	კგ	0.00	0.00	415.00	385.95	_
47	სისტემიდან მაცივარაგენტის ამოღება	1	კგ	0.00	0.00	450.00	418.50	_
48	კომპრესორი თავსებადი უნდა იყოს "Haier" MRV IV-c სისტემასთან; სიმძლავრე 28კვტ-დან 45კვტ-მდე; ინვენტორული	1	ც	10,100.00	9,393.00	2,243.00	2,085.99	1 წელი
49	გარე ბლოკი, თავსებადი უნდა იყოს "Haier" MRV სისტემასთან; სიმძლავრე 40კვტ-დან 45კვტ-მდე დემონტაჟი-მონტაჟი	1	ც	19,700.00	18,321.00	7,000.00	6,510.00	1 წელი

50	გარე ბლოკი, თავსებადი უნდა იყოს "Haier" MRV სისტემასთან; სიმძლავრე 45კვტ-დან 50კვტ-მდე დემონტაჟი-მონტაჟი	1	ც	23,200.00	21,576.00	7,000.00	6,510.00	1 წელი
51	გარე ბლოკი, თავსებადი უნდა იყოს "Haier" MRV სისტემასთან; სიმძლავრე 50კვტ-დან 56კვტ-მდე დემონტაჟი-მონტაჟი	1	ც	25,200.00	23,436.00	7,000.00	6,510.00	1 წელი
52	გარე ბლოკი, თავსებადი უნდა იყოს "Haier" MRV სისტემასთან; სიმძლავრე 56კვტ-დან 61კვტ-მდე დემონტაჟი-მონტაჟი	1	ც	28,600.00	26,598.00	7,000.00	6,510.00	1 წელი
53	აბრეკ-კალათა	1	საათი	0.00	0.00	1,000.00	930.00	_
54	აბრეკ-კალათა	ყოველი დამატებითი 1 საათი	საათი	0.00	0.00	250.00	232.50	_
	ჯამი:			**149,205.80**	138,761.39	**50,516.00**	46,979.88	_
						199,721.80	**185,741.27**	

1-01-4-202401091633

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 2024 წ.

ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ შენობის მოწყობილობების შეკეთება და ტექნიკური მომსახურების **(CPV50700000)** შესყიდვის მიზნით შპს „კაპექს"-თან (ს/კ: 400161141) გასაფორმებელ ხელშეკრულებაში ჩემი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

შოთა ვარსიმაშვილი

ხელშეკრულებით